

მასტერკლასი: “სწავლების თანამედროვე მიდგომების გამოყენება ქიმიის გაკვეთილზე”

მასტერკლასის მიზანია სწავლების დიფერენცირებული მიდგომების გამოყენება ქიმიის გაკვეთილზე. კერძოდ, პედაგოგები გაეცნობიან დიფერენცირებას:

- შინაარსის
- პროცესის
- პროდუქტის მიხედვით

დეტალურად იქნება განხილული:

ა) დიფერენცირება პროცესის მიხედვით - გაჩერებებით სწავლება ქიმიის კონკრეტული საკითხების მაგალითზე. პედაგოგები ჯერ გაეცნობიან ამ მიდგომის გამოყენებით გაკვეთილის დაგეგმვის ნიმუშს, ხოლო შემდეგ თვითონ დაგეგმავენ ანალოგიურ გაკვეთილს უკვე დამოუკიდებლად. დაგეგმვის პროცესში აქტივობებს დაუკავშირებენ 8 სამეცნიერო პრაქტიკას.

ბ) დიფერენცირება შინაარსის მიხედვით - ერთი და იგივე საკითხის სხვადასხვა ხარისხის სირთულით მიწოდება.

მონაწილეები გაეცნობიან პროექტის ფარგლებში შექმნილ ქართულენოვან რესურსს (http://tpdc.gov.ge/ptk_files/ckuploaded/310397.pdf) - “განმავითარებელი შეფასება დიფერენცირებული სწავლება”.

მასტერკლასის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები ისეა შედგენილი, რომ ერთმანეთთან აკავშირებს საგნობრივ ცოდნას (რა ვასწავლოთ?) და სწავლების მეთოდოლოგიას (როგორ ვასწავლოთ?), რაც განსაკუთრებით აქტუალურია პედაგოგებისათვის.

მასტერკლასი წარმართება დისკუსიის რეჟიმში, მონაწილეები აქტიურად იქნებიან ჩართულნი საგაკვეთილო პროცესის მოდელირებაში, მათ დაურიგდებათ სამუშაო ფურცლები, საკითხავი მასალა. საკითხის ასეთ ჭრილში განხილვა ხელს შეუწყობს თითოეულ მოსწავლეზე მორგებული სასწავლო გარემოს შექმნას, მოსწავლეებში კვლევითი უნარ-ჩვევებისა და სისტემური აზროვნების განვითარებას. ხაზი გაესმება საგაკვეთილო პროცესში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების აუცილებლობას და მნიშვნელობას.

სამიზნე ჯგუფი: 8-12 კლასის ქიმიის პედაგოგები

ხანგრძლივობა: 4 სთ

სესიების რაოდენობა: 2 (სესიის ხანგრძლივობა - 2 სთ)